დუტუ მეგრელი

ლ ე ქ ს ე ბ ი

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს

მაშ ასე, ჩემო სამშობლოვ,
უნდა მოგშორდე, ეს არი
და სხვაგან გადავიხვეწო,
მარადის შენთვის მკვნესარი!
მშვიდობით!.. მაგრამ განა მე
მარტო ხორცით არ გშორდები?
გონებით, გრძნობით და ფიქრით
ისევ შენთან არ ვიქნები?
განა თუნდ ცხრა მთას გადაღმაც
ვერ ვიგრძნობ შენსა ტკივილსა;
ვერ გავიგონებ შენს ოხვრას,
ტირილს და მოთქმა-ჩივილსა?
კი, მაგრამ, ჩემო ძვირფასო,
მეყო, რაც სხვაგან ვიყავი;
მენატრებდა აწ მაინც
სულ შენთან ყოფილვიყავი,
რომ შენთვის შემომეწირა
მთლად ჩემი ღონე და ძალა;
მოყვარე მეხარებია
მტრისთვის მესმია სამსალა;
მაგრამ, ვაი, რომ უბედურს
არ შემისრულდა სურვილი!..
მშვიდობით... უნდა, კვლავ გულში
ჩავიკლა ჩემი წყურვილი...

მ ო თ ქ მ ა

საჭე გამიტყდა, ნიჩაბი
ხელიდან გამომეცალა;
ვხედავ, თან და თან ვსუსტდები
და მეკარგება მე ძალა;
პატარა კიდევ და, ვაი,
ველარც-კი შევძლებ ბრძოლასა
და ჩემი ნავი დაიწყებს
უგზო-უკვალოდ ქროლასა!..

ხან ცას შევყურებ ვედრებით,
ხან ადამიანთ ეძახი;
მაგრამ ყრუ არის ზევით ცა
და უგულოა ქვეშ ხალხი;
ჩემთვის არავის სცალია,
თავის საქმე აქვს ყველასა!
სხვას ვის უშველეს, აბა, მათ,
რომ მე ველოდე შველასა?..
«სულ დავუძლურდი, თავს ძლივს-ღა
ვიმაგრებ, ღონე მიხდილი;
ვგრძნობ დიდ ხანს ველარ გავატან,
მიახლოვდება სიკვდილი!
ოჰ, ნუ თუ ასე უდროოდ
უნდა მომეღოს აქ ბოლო
და მკვდარსაც ველარ ჩამიკრავს
გულში ძვირფასი სამშობლო?..

ქ. ოლთისი.

დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ს

(მ ი ს ს ს ა ფ ლ ა ვ ზ ე ძ ე გ ლ ი ს კ უ რ - თ ხ ე ვ ი ს გ ა მ ო)

«როცა ჩვენი მწარე ხვედრი
გულს მიწუხებს და მიწყლავს სულს,
ეჭვით ვუმზერ მომავალსა
და ვიგონებ შურით წარსულს, _

მაშინ თვალწინ მეხატება
სახე შენი, მადლიანი;
შენგან სიმხნით განვლილი გზა,
სახიფათო, ეკლიანი,
და ვიძახი: «იგი ერი
არ მომკვდარა, არც მოკვდება,
ვისაც შვილი ამისთანა
ჰყოლია და ეყოლება!»

ო რ ი ვ ე დ რ ე ბ ა

I

«ჩემს მამულზედ უკეთესი სად არი?
იგია თვით სამოთხისა სადარი;
მაგრამ ვაი, რომ მის ჭვრეტით ვერ ვტკბები,

უცხო-უცხო მხარეებში ვბერდები!
ოჰ, განგებავ, მისმინე ეს ვედრება:
თუ სამშობლოს ხილვა აღარ მერგება,
მომკალ ბარემ, _ რაც ვიტანჯე, მაკმარე
და მკვდარს მაინც იქ მაღირსე სამარე!..

I I

«ჩემს საჭრფოზედ უკეთესი ვინ არი?
იგია თვით ანგელოზი მცინარი;
მაგრამ ვაი, რომ მის ჭვრეტით ვერ ვტბები,
მისს ალერსსა მოკლებული ვბერდები!
ოჰ, განგებავ, მისმინე ეს ვედრება:
თუ საყვარლის ხილვა აღარ მერგება,
მომკალ ბარემ, _ ტანჯვას გადამარჩინე
და მკვდარს მაინც მის ცრემლი დამადინე!..

პ ა ს უ ხ ი

ჩემი გული მცენარეა,
უდაბნოში ობლად რგული,
მისი ნამი ცრემლებია
და მისი მზე _ სიყვარული;
«ის ცხოვრებამ ტანჯვით ზარდა
და რა გასაკვირველია,
რომ ნაყოფიც მისი მხოლოდ
მწარე სევდა, ნაღველია?

ჩ ე მ ი ტ ა ძ ა რ ი

ოცნებით შექმნილს, დიდებულსა, ჩემსა ტაძარსა,
ცის კამარაში, ღრუბლებს ზევით, მარტოკა მდგარს,
ვერა ტაძარი, ქვეყნიური ვერ შეედრება, _
აუწერელი არის მისი მშვენიერება!

იგი ტაძარი მხოლოდ ჩემი სალოცავია;
სხვისთვის, ყველასთვის მიუწვდომელ-უხილავია;
ოთხი ხატი მყავს იმ ტაძარში, მათ ვსწირავ მსხვერპლსა:
ჩემ გულწრფელ გრძნობას, მწვავე ფიქრებს და წმინდა ცრემლსა!
ერთია კლდეზე მიჯაჭვულის პრომეთეოსის,
საზარი ძერა გამუდმებით გულს რომ უკორტნის...
მეორე ჯვარზე მილურსმულის იესოსია,
ეკლის გვირგვინით ბრბოს რომ შუბლი შეუმოსია...

მესამე არის ჩემ სამშობლო საქართველოსი,
ერთ დროს ძლიერის, დღეს უძლურის და საბრალოსი,
უმწედ რომ გდია, დაჩაგრული, ღონე მიხდილი,
და შველის ნაცვლად ღუპავს თვითონ მისივე შვილი,

და მეოთხეა მშობლიურის პოეზიისა,
ერთის მხრივ სახით დიდებულის რუსთაველისა
და მეორეს მხრივ _ საყვარელის ბარათაშვილის,
ბედით რჩეულის და ბედითვე მწარედ დასჯილის!..

ოცნებით შექმნილ ჩემი ტაძრის მშვენიერება
ენით არ ითქმის და არც კალმით აიწერება!
ოთხი მტერი მყავს იმ ტაძარში, მათ ვსწირავ მსხვერპლსა:
ჩემ გულწრფელ გრძნობას, მწვავე ფიქრებს და წმინდა ცრემლსა!..

1908 წ.

ჩ ი ტ ე ბ ი

(ვ უ ძ ღ ვ ნ ი ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ - ვ ი ლ ს)

მიყვარს პატარა ჩიტი ბელურა,
ჩვენ სახლის ჭერ ქვეშ დაბუდებული,
კრუხ-წიწილებში რომ გარეულა
და ეძებს საჭმელს, გამალებული;
ზამთარ და ზაფხულ რომ არ გვშორდება,
«ჭივ-ჭავე, ჭივ-ჭავ!»-ო, დაგვძახის, გვართობს;
ბოსტნებს და ბაღებს თავზედ ევლება,
მწერებს და ჭიებს უწყალოდ აწყობს!
მიყვარს მერცხალიც, კუდ-მაკრატელა,
გაზაფხულისა მახარებელი,
უსაზღვრო სივრცე რომ გადმოთელა
და კვლავ მოძებნა მხარე მშობელი;
შევხარი იმისს მშობლიურს ზრუნვას,
მისს მოძრაობას, დაუცხრომელსა:
ცის კამარაში ტრიალს და ცურვას,
ჭიკჭიკ-გალობას, დამატკბობელსა!
მიყვარს ტოროლაც, მღერალი დღისა,
მზის სხივებითა გაბრწყინვებულის;
მღერალი ყანის, მინდორ-ველისა,
აბიბინებულ-ამწვანებულის;

მაღლა, სულ მაღლა რომ მინავარდობს,
ვით ლამაზ მძივებს, აბნევს ტკბილ ხმასა,
მსმენელს ახარებს, თვითონაც ხარობს,
თითქო აერთებს მიწას და ცასა!
მიყვარს შაშვიცა, შავად მბზინავი,
ეკლის ბარდებში რომ იმალება
და, დროსა მწუხრის ტკბილად, მსტვინავი,
თითქოს ლოცულობს, აგალობდება.
მტრედიც, ნარნარი, მშვიდი და წყნარი,
მისი უმანკო გულუბრყვილობა,
მისი ღუღუნი, გრძნობით დამტკბარი,
მისი სიმტკიცე და ერთგულობა!
მიყვარს არწივიც, მეფე ჰაერის,
იქ, ღრუბლებს ზევით, მარტოდ მფრინავი;
გედიც, შვენება მოელვარე ტბის,
ყელ-მოღერებით, კოხტად მცურავი;
მოლალურიცა, ტყეს რომ აფხიზლებს,
მისი წკრიალა ხმა გულსა სწვდება;
მწყერიც, მიწას რომ ფეხს არ აცილებს,
ბურის ყანიდან გვეჭუკჭუკება!
და კიდევ უფრო მიყვარს ბულბული,
მგოსანი ტურფა მაისის ღამის,
რომ აჟღერდება, აღფრთოვნებული,
თითქო ისმისო ხმა ციურ ქნარის!
მისი სიმღერა, გამომხატველი
უცნაურ ძალთა დიად ბუნების,
მხიბლავს, მატყვევებს, გრძნობის მომგვრელი,
ამშლელი ათას ტკბილ ფიქრ-ოცნების!..

1908 წ.

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

აწმყოზე სრულად გამიტყდა გული,
წარსული კრულვით მაგონდებოდა
და მომავალიც ვერა-რა ნუგეშს,
ვერა-რა იმედს ვერ მპირდებოდა;

თავს უსარგებლოდ ვრაცხდი ქვეყნისთვის;
მთელს ჩემს სიცოცხლეს ვსთვლიდი არა-რად;
ფუჭად მიმაჩნდა ყოველი წამი
და დავეძებდი სიკვდილსა მარად;

როცა შემიპყარ, შენ, სიყვარულო,

და გარდაჰქმენი ჩემი არსება;
კვლავ მომეც ძალა, მაცოცხლებელი,
კვლავ მოანიჭე ჩემს სულს ღვთაება;

კვლავ დაუბრუნე გულსა იმედი,
კვლავ ბნელს სიცოცხლეს სხივი მოჰფინე
და კვლავ გამხადე კაცად, ღვთის ხატად,
კვლავ განმაახლე, კვლავ აღმადგინე!..

ასე ყვავილსა, დამზრალს გოლვისგან
კვლავ განაცოცხლებს ციური ნამი,
კვლავ დაუბრუნებს თავისს შვენებას:
კვლავ დაუდგება მას ტკბილი წამი!
1887 წ.

* * *

ცხრამეტთა წელთა,
შავთა და ბნელთა,
წაიღეს დღენი ჩემის სიცოცხლის,
მუდამ ბრძოლაში,
მუდამ ტანჯვაში,
მუდამ დევნაში მუხთალი სოფლის!
გაქვავდა გული,
დაეცა სული,
გრძნობა-გონება მიჩლუნგდებოდა;
დადუმდა ენა,
გამიქრა რწმენა
და სასოება მეკარგებოდა.
მაგრამ მბრწყინავი,
როგორც ვარსკვლავი,
საზარ წყვდიადში, აჰა, შენ გაჩნდი;
რა მოგკარ თვალი,
მაშინვე ძალი
ვიგრძენ უეცრად და სწრაფ განვახლდი;
გაცოცხლდა გული,
ამაღლდა სული,
მომეცა ისევ იმედი, რწმენა,
და სიყვარულიც წმინდა და სრული
დამკვიდრდა ჩემში, ამეხსნა ენა!..
ღრუბელს ღრუბელი
კვლავ მოსდევს ბნელი,
მაგრამ არ არის აწ შიში გულში,
რადგან შუქმფენნი ეგ სხივნი შენნი
გზას მინათებენ ამ შავს ჯურღმულში,

და მეც მათა ვსდევ,
აღარას დავსდევ
ცისა და ქვეყნის კერპთ ძლიერებას;
მხოლოდ ვცემ თაყვანს
სიყვარულს მართალს
და წმიდას, ღვთიურ ჭეშმარიტებას!..
დიდი რამ არის
პოეტისათვის,
როცა ეგულვის შენებრ მფარველი,
როცა მან იცის
რომ თვის შრომისთვის
დააჯილდოებს შენებრი ხელი;
მაშინ მის გულსა,
აღფრთოვნებულსა,
ველარ დათრგუნავს ველარაფერი;
მაშინ ის კლდეა,
მტკიცე ზღუდეა,
მწვავი ცეცხლია, ზღვაა ძლიერი!..

1837 წ.

კ ა ლ ა მ ს

ისევ შენ უნდა მოგმართო,
ჩემო ძვირფასო კალამო,
რომ გულს, აღვსებულს ნაღვლითა,
მცირედიც არის ვაამო!

მხოლოდ შენ დამრჩი ნუგეშად,
მეც სულს შენით-ღა ვიბრუნებ
და გვვედრი, სანამ ცოცხალ ვარ,
შენ მაინც ნულარ მიმტყუნებ!

1893 წ.

ნ . ზ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს

როდესაც ერი, თვისს აწმყოთი გამწარებული,
იგლოვდა წარსულს გულდამწვარი, შეწუხებული,
და ვით ცხვრის ფარა, უპატრონოდ მიტოვებული,
ეჩეხებოდა კლდესა და ღრეს, გზადაბნეული,
მამულის შვილნი კი «ლოთებო ნეტავი ჩვენა»,

გაიძახოდნენ, «მოგვეცაო დღეს შვება-ლხენა»
და არ ნაღვლობდენ არც საშშობლოს აოხრებულსა,
არც ერს მწუხარეს, ცხარის ცრემლით ატირებულსა, _
მაშინ გაისმა შენი მწარე კვნესა-ტირილი,
გრძნობით აღვსილი, ნაღვლიანი ოხვრა-ჩივილი!
შენ დასტიროდი «ბედსა ქართლისას»,
გულგატეხილის მეფის რჩეულსა:
შენ დასტიროდი «ტაძარსა წმინდას,
უდაბნოდ მდგარსა, გაუქმებულსა»,
შენ დასტიროდი «ცხოვრებას ფუჭსა»,
«ამაოებას წუთის სოფლისას»,
«სუმბულს, მოკლებულს საშშობლოს გულსა»,
და «მარტოობას, სულის ობლისას!»

ვ ი დ ე ქ ზ ღ ვ ი ს პ ი რ ა ს . . .

(ვ უ ძ ღ ვ ნ ი ი ა კ ო ბ ნ ი კ ო ლ ა - ძ ე ს)

I

დამშვიდებული,
დაწყნარებული,
ზღვა კამკამებდა
და ფირუზისა
კამარას ცისა
შესთამაშებდა;
მაღლით სხივები_
ოქროს მძივები
დასციმციმებდნენ
და სანატრელსა
მზეს, საყვარელსა,
უკავშირებდნენ.
ქარი არ ქროდა...
არსით ისმოდა
ხმა ქვეყნიური.
იყო დუმილი,
უცნაურ-ტკბილი,
თითქო ღვთიური!..
ვიდექ ზღვის პირას,_
ამ ჰარმონიას
მე შევყურებდი;
ვგრძნობდი სულისა
მასთან კავშირსა

და ვნეტარებდი!..

I I

აღშფოთებული,
აღელვებული,
ზღვა ბობოქრობდა,
თითქო ზარბ შეკრულს,
გაპირქუშებულს,
ცას ემუქვროდა,
ტალღა-ზვირთები,
ვით დიდი მთები,
წამს იზრდებოდნენ
და წამს უფსკრულში,
შავ-ბნელ ჯურღმულში
იკარგებოდენ.
ზღვა, ვით დაჭრილი,
ფაფარ-აშლილი
ლომი, გმინავდა;
ცა მრისხანებდა
და მძვინფარებდა,_
ჰქუხდა, გრგვინავდა!
ზუოდა ქარი...
იყო საზარი
გარს ხმაურობდა,
თითქო შემოქმედს
მოსურვებოდეს
ქვეყნის დამხობა!..
ვიდექ ზღვის პირას,_
ამ ბრძოლას, დიადს,
მე ვუცქეროდი;
ვგრძნობდი სულისა
მასთან კავშირსა
და კვლავ ვსტკბებოდი!

1910 წ.

გ ა ჰ ქ რ ა ო ც ნ ე ბ ა ! . .

იყო დრო ნეტარ ჭაბუკობისა:
გულში ყვაოდა ია და ვარდი,
სულს წმინდა გრძნობა აცისკროვნებდა,
მე ის მიყვარდა, მას მე ვუყვარდი!

ცხოვრება, როგორც დამშვიდებული
ზღვა, ციალებდა და კამკამებდა
და მასზე მცურავს ჩვენ კოპწია ნავს
ოცნება შორს, შორს მიაქანებდა!

ის დედოფალი იყო საზღაპრო
უცხო სამთავროს ტურფა მფლობელი,
მე კი იმისი კარის მგოსანი,
მარადის მისი შემამკობელი.
და ვუჯეროდი სხვა და სხვა ლექსებს,
მის ჩაგონებით მისთვისვე თქმულსა:
ის ყურს უგდებდა აღტაცებული,
ჩემსა სიმღერას, აღფრთოვნებულსა,

და ტკბილ ღიმილით მაჯილდოვებდა!..
მეც სხვის არაფრის არ მქონდა დარდი:
სულს წმინდა გრძნობა აცისკროვნებდა,
გულში ყვაოდა ია და ვარდი!

მაგრამ უეცრად ცა მოიღრუბლა,
ასტყდა გრიგალი, სასტიკ-საზარი,
ნავი კლდეს მოხვდა და დაიღუპა;
გაჰქრა ოცნება, ვითა სიზმარი!

გაჰქრა ოცნება!.. დღეს ულმობელი
სინამდვილეა გამეფებული:L
ის ჩაუძირავს ცხოვრების ჭაობს,
მე_ უდაბნოში ვარ გარიყული!

1910 წ.

ი გ ა ვ - ა რ ა კ ე ბ ი

ღ რ უ ბ ლ ე ბ ი დ ა მ თ ვ ა რ ე

ერთხელ ღრუბელთ გადასწყვიტეს,
დააბნელონ ბადრი მთვარე
(სჩანს, შეშურდათ მის სიტურფე
სინაზე და სინარნარე!);
შეიკრიბნენ ყველა ერთად,
შეიკუმშნენ, მთლად გაშავდნენ

და, მიმავალს თავისს გზაზე,
ღამის მნათობს მედგრად დახვდნენ;
მაგრამ მთვარემ არც შეჰხედა,
სწრაფ გასცურა ის ადგილი
და დასტოვა ღრუბელთ გროვა,
პირში ჩალა გამოვლილი;
გასცურა და ქვეყანასა
მან ნათელი კვლავ მოჰფინა,
ღამის მეხრის და მგზავრის გულს
სიხარული აგრძნობინა;
ავ ღრუბლებს-კი საიდანღაც
მძლავრმა ქარმა დაუბერა,
ცხრა მთას იქით გადაჰფანტა,
ერთ წამსაც არ გააჩერა!..

მ უ დ ო (თ ხ უ ნ ე ლ ა) დ ა ხ ვ ლ ი კ ი

ერთხელ მუდოს, ამომძვრალსა
მიწიდან მზემ დააცხუნა;
არ იამა უჩვევს; პირი
ხვრელისაკენ გაიბრუნა
და სთქვა: მიკვირს, სულიერი
და უსულო მზის სხივებსო.
რად შეჰნატრის, ნეტა მათში
სასარგებლოს რას ჰპოებსო?
მე მზეში კარგს ვერას ვხედავ,
თუნდაც სულ ნუ იქნებაო;
მიკვირს, ან სხვას რას უკეთებს,
ვის, ან რისთვის სჭირდებაო? _
გაიგონა ეს სიტყვები
ხვლიკმა, მყოფმა იქვე ახლოს,
და მიუგო: მზისა ფასი
რა გესმისო უსინათლოს?..
გასწი, გასწი, ბრმავ, მიწაში
და იქ დასტკბი სიბნელითო,
ჩვენ-კი გვინდა, მზეს ვუყუროთ
და ვსტკბებოდეთ სინათლითო!..
გასწი, მაგრამ ეს იცოდე,
რომ ყველას მზე გვაცოცხლებსო;
თუმც აგრე გძულს, უიმისოდ
გააფშეკდი შენც ფეხებსო!..»

ყ ი ნ უ ლ ი

ერთ ზამთარის დილას პატარა
ბავშმა ნახა, რომ ყინულიც
მზეზე ბრჭყვიალებს, საწვიმარ
ღარზედა ჩამოკიდული,
და უთხრა დედას სიამით:
«დედილო, გენაცვალეო,
ეგერ ალმასი ჰკიდია
და ამომიღე მალეო.»
_»მოიცა, შვილო,» _ სთქვა დედამ:
«მზე კარგად ამოვიდესო
და მაშინ ნახე, შენს ალმასს
აბა რა მოუვიდესო!..»
მართლაც, გათბა დღე თუ არა,
წვეთა დაიწყო ყინულმა
და ისევ დედას მიმართა
პატარამ გაკვირვებულმა:
_»უიმე, დედა, შეჰხედე,
მოსწვეთავს, წყლად ქცეულიო!»
_»რად გიკვირს, შვილო? დამდნარა, _
თოვლია, გაყინულიო!»
_ «მე-კი ალმასი მეგონა,
ისე რომ ბრჭყვიალებდაო, _
სთქვა გულდაწყვეტით პატარამ:
«და მისთვის მახარებდაო,»
დედამ მიუგო: «ჰო, ხშირად
გვატყუებს გარეგნობაო;
მიტომაც არის საჭირო
დაკვირვება და ცნობაო!..»

ვ ე რ ხ ვ ი

ერთს დაბურულსა, ხშირს ტყეში
ლამაზი ვერხვი ჰხარობდა
და, უმადური ხვედრისა,
დღე მუდამ ასე ამბობდა:
«რა არის ჩემი სიცოცხლე,
ვერ ამომითქვამს სულიო:
ვეება ხეებისგან ვარ
შეკრული, შეხუთულიო;
მე უნდა ვიყო მარტოკა
ტრიალს მინდორზე მდგარიო,
რომ თავისუფლად ჩემს ფოთლებს
აფრიალებდეს ქარიო!..»

შესრულდა მისი წადილი:
ერთხელ მოვიდნენ გლეხები
და მოსჭრეს ყველა, რაც იყო
იმ ტყეში, დიდი ხეები.
იამა ვერხვსა, რომ ნახა,
სურვილი აღსრულებია,
მაგრამ ეს სიამოვნება
დიდხანს არ გაგრძელებია:
დაჰბერა ქარმა ძლიერად,
ასტყდა გრიგალი, საზარი,
შეინძრა ცა და ქვეყანა
მიწამ დაიწყო ზანზარი,
და ველარ გასძლო, დასუსტდა
ვერხვი, შთენილი ობლადა
და ამოსთხარა გრიგალმა
ძირიან-ფესვიანადა!
მაშინ-კი იგრძნო საბრალომ,
რომ, კვლავ ხეებში მდგარიყო,
ასე არ მოუვიდოდა,
მაგრამ გვიანი-ღა იყო!..

ბ ა ვ შ ვ ე ბ ი დ ა მ ზ ე

დედამ, შვილების ოთახში
ერთს მშვენიერს დღეს შესულმა,
ნახა, რომ ბნელა და ბავშვებს
მიმართა, გაკვირვებულმა:

«რისთვის აბნელებთ ამ ოთახს
თქვენ გენაცვალოსთ დედაო?
დღეის მზეს კაცი დაჰკარგავს?
რად არ აჰხადეთ ფარდაო?»

უფროსმა ბავშვმა მიუგო:
«ჩვენ განგებ არ ვხდით იმასო,
რადგან შემოაქვსთ ოთახში
მტვერი სხივებსა მზისასო!..»

_»სტყუვდებით!» _ უთხრა მათ დედამ:
«მტვერი ოთახში არიო
და სიბნელეში იმალვის
თვალისთვის უჩინარიო;
მხოლოდ როდესაც მოხვდება

მზის სხივი, გამოჩნდებაო
და ჩვენც ვგებულობთ, რომ ოთახს
გაწმენდა ეჭირვებაო!..»
სწავლაც იგივე მზა არის:
სადაც თავისს შუქს მიაფენს,
თუ სადმე იმალებოდა
სიავე რამე, მყის აჩენს;
მაგრამ, ბავშვების არ იყოს,
უგუნურები ჰფიქრობენ,
რომ სწავლას მოაქვს სიავე
და მისს შეზღუდვას ცდილობენ!

ჯ ა ფ ა რ ა (ჩ ხ ი კ ვ ი)

ერთხელ პატარას, რომელსაც
სახლში გაზრდილი ჯაფარა
ჰყავდა და ძლიერ უყვარდა,
ბაბუამ შაშვიც მოჰგვარა.
ბავშვმა სთქვა: «აბა რად მინდა
ულამაზო და შავიო?
არ ჰგავს ჯაფარას!.. ამისთვის
ღირს, შევიწუხო თავიო?»
მაგრამ დაიწყო თუ არა
შაშვმა ტკბილის ხმით გალობა,
ბავში განცვიფრდა, იამა,
უთხრა ბაბუას მადლობა
და მერე თვისი ჯაფარა
აღარც-კი მოჰგონებია;
მოჰხიბლა შაშვის გალობამ
და მას არ მოჰშორებია.
ჯაფარა ძლიერ გაჯავრდა:
«როგორ ამაღეს ხელიო;
თუ მინდა, მე ვერ ვიქნები
მისთანა მგალობელიო?»
და, მართლაც, ერთხელ, როდესაც
შაშვი უსტვენდა, გალობდა
და ყველას, დიდს და პატარას,
საამო ხმებით ატკბობდა,
ჩხიკვმაც დაიწყო ხმა მაღლა
წივილ-ჭყივილი, ჩხავილი...
«ჩუ, ჩუ, გაჩუმდი!» შეიქნა
ყოველის მხრიდან ძახილი,
მაგრამ ის მაინც არ დასცხრა...

«რა ჯიუტია, ავიო;
სჯობს, წაიყვანოთ აქედან,
თორემ დაფრთხება შაშვიო!»
სთქვა ბაბუამ და პატრონმაც
მოძულებული ჯაფარა
წაიყვანა და გადიას
სამოახლოში მიჰგვარა...

1894 წ.

კ რ უ ზ ო

როგორც ყველა ფინია,
დიდგული, თავმომწონე
იყო კრუზო, თუმც სულაც
არ შესწევდა ძალ-ღონე;
იმის ყეფას და წკავ-წკავს
არ ჰქონდა დასასრული,
ხან ვის მივარდებოდა,
ხან ვის გაანჩხლებული!
ერთხელ თვალი მოჰკრა მან,
ეზოს გარედ გასულმა,
უცხო ნაგაზს და ყეფა
დაუწყო, გულმოსულმა;
ძაღლმა ჯერ ხმა არ გასცა,
როგორც სუსტს, მოუთმინა,
მაგრამ მერე გაბრაზდა
და ისეთი უკბინა,
რომ დიდხანს ეგდო კრუზო
უგონოდ და, ცოცხალი
თუმც გადარჩა, დაკოჭლდა
სამუდამოდ საწყალი!...

ბ ა ყ ა ყ ი

ერთხელ ბაყაყი ტბის პირად
იჯდა და მზეზე თბებოდა;
უეცრად ირემს შეჰხედა,
რომელიც მისკენ მორბოდა,
და ჰკითხა: «რა ამბავია,
ძმობილო, სად იყავიო?»..
_ «მონადირენი მომდევენ,
მსურს დავაღწიო თავიო»,

უთხრა ირემმა და ტყისკენ
გაჰქანდა გამალებული;
ბაყაყიც მაშინვე ტბაში
გადეშვა, შეშინებული,
და მორთო მაღლა ყიყინი:
«ვაი ნადირთა ბრალიო,
ერთს წუთსაც არ გვასვენებენ;
სად არის სამართალიო?»
_ «ხა, ხა, ხა, ხა, ხა!.. ნუთუ შენც
ნადირად მოგაქვს თავიო?
შენგან აბა ვის რა უნდა:
ხორცი, ქონი, თუ ტყავიო?»
დასძახა ხიდან კაჭკაჭმა:
«გაჩუმდი, რა გაყვირებსო?
ბაყაყს ვინ გამოგიდგება?
ირემს მოსდევენ, ირემსო!...»

1908 წ.

ლ ო მ ი დ ა მ ე ლ ა

ერთხელ მელამ ნახა, ლომი
თავისს ლეკვსა რომ ართობდა;
მასთან ერთად მხიარულად
თამაშობდა, ნავარდობდა
და მიმართა: «ნადირთ მეფევ,
ყოვლისფრით სრული ხარო;
ვით შეშვენის ხელმწიფესა,
მართლაც ყველას გვჯობიხარო;
მხოლოდ მიკვირს, ერთ რამეში
რომ გჯობივართ მელებიო:
შენ გყავს მხოლოდ თითო ლეკვი,
ჩვენ-კი ბევრი შვილებიო!»
გაეცინა ლომს და უთხრა:
«თვისი ხვედრი აქვს ყველასო, _
მე ერთს ლომს ვზრდი წელიწადში
და თქვენ, თქვენ-კი ბევრ მელასო!...»

პ ა ტ ა რ ა ქ ვ ე ლ მ ო ქ მ ე დ ი

მართამ გააუთოვა ერთი წყება სარეცხი, გამოახვია ზეწარში და უნდოდა მუშტართან წაეღო, მაგრამ ნახა, რომ უთო ჯერ კიდევ გახურებული იყო და განაგრძო საქმე. მართას საუთოებელი ბევრი ქონდა და არ უნდოდა უთოს ტყუილ-უბრალოდ გაცივება. გააუთოვა კიდევ რამდენიმე ნაჭერი, მაგრამ მოაგონდა, რომ სარეცხის წაღება იყო საჭირო და არ იცოდა რა ექნა. ბოლოს ისევ არჩია, რომ მუშტარს არ აწყენინოს; გადადგა იქით უთო, რომელიც ისევ, თითქო მის გასახელებლათ, ძალიან ცხელი იყო და დააპირა სარეცხის წაღება. ამ დროს ოთახში შემოვიდა სკოლიდან დაბრუნებული, მართას პატარა ვაჟი, კოტე და, დედა რომ წასასვლელად მომზადებული ნახა, უცებ ჩამოიხსნა წიგნების ჩანთა და სიხარულით მოებღაუჭა კალთაზე მართას.

_ დედიკო, მეც წამოვალ შენთან, მეც წამოვალ! _ დაუწყო ხვეწნა.

_ შენ რა გინდა?.. დაისვენე! _ უპასუხა დედამ.

_ არა, არა, წამოვალ... მე არა ვარ დაღალული, _ ემუდარებოდა კოტე. მართა უცებ შეჩერდა, ეტყობოდა, რაღაც ფიქრმა გაუელვა და შეხედა შვილს.

_ იცი, რა გითხრა?.. თუ აგრე გულით გინდა სიარული, შენ წადი მარტო და წაუღე სარეცხი მუშტარს, მე-კი დავრჩები და ვაუთოვებ, სანამ უთო არ გაცივებულა. _ თქვა მართამ.

_ ძალიან კარგი! _ აღტაცებით წამოიძახა კოტემ და მივარდა სარეცხს.

_ მოიცა, მოიცა, ნელა მოკიდე ხელი, არ გასვარო, ან არა დაკარგო-რა!.. აქვე, მეორე ქუჩაზე რომ «ჩინოვნიკი» დგას, იმას მიუტანე, _ უთხრა მართამ და კარგათ გამოხვეული სარეცხი მიცა შვილს.

_ ფული გამოვართვა? _ კითხა კოტემ, როცა კარში გავიდა.

_ თუ მოგცემს, გამოართვი, მანეთი და ერთი შაური მერგება, _ მიაძახა მართამ.

_ კარგი, კარგი, _ ჩაილაპარაკა კოტემ და გაკურცხლა.

_ დული, დული, იაბლოკი, ჰაა!.. _ დაიყვირა კოტემ, როცა ქუჩაზე გამოვიდა, კოხტათ დაიდვა თავზე სარეცხი, თითქო ხილით სავსე გობიაო, და თავმომწონეთ წავიდა დანიშნულ სახლისკენ. კოტეს პირველად დაავალეს მუშტართან სარეცხის წაღება და მის მხიარულობას საზღვარი აღარა აქვს. მაშ, ის დიდია ახლა და შეუძლია დაეხმაროს დედას, რომელიც მუდამ დღე შრომობს: ხან რეცხს, ხან აუთოებს, ხან საჭმელს აკეთებს, ხან მუშტართან მიდის, ხან ბაზარში გარბის და სხვა. დღეიდან სარეცხის წამღებათ კოტე იქნება და ამნაირათ ცოტათი მაინც მოეხმარება საყვარელ დედას; დაიდებს ხოლმე სარეცხს თავზე და, თითქო ხილის გამყიდველი კინტოაო, შემოსძახებს: «დული, დული, იაბლოკი, ჰაა!».. იჰ, იჰ, რა კარგია! რა ბედნიერია კოტე! აქამდის რატომ არ მოიგონა ან თითონ, ან დედამ რატომ არ იფიქრა, რომ სარეცხის წაღება კოტესთვის მიენდო? ჯერ დილაობითაც, სანამ სკოლაში წავა, შეუძლია კოტეს ახლო-მახლო სარეცხის მიტანა, თვარა სკოლიდან რომ დაბრუნდება, ხომ სულ თავისუფალია და ბიჭებთან კოჭაობას, დედას დაეხმაროს არ ჯობია?.. რასაკვირველია, ჯობია და კოტეც ბეჯითათ შეასრულებს თავისს მოვალეობას: არც გასვრის სარეცხს, არც დააბნევს და ისე მიუტანს მუშტარს.

ამნაირ ფიქრებში გართულმა რამდენსამე წუთში მიირბინა კოტემ მუშტართან, ჩააბარა სარეცხი, ჩაიჩხრიალა ჯიბეში მანეთის თეთრი ფული და ერთიც შაურიანი და გამობრუნდა უკან, ბედნიერი, რომ პირველი მონდობილება მშვენიერათ შეასრულა. მოდის კოტე არხეინათ ქუჩაზე; მოდის ამაყათ და თავმომწონეთ. «ჩხრრრ, ჩხრრრ», გააქვს ჩხრიალი ჯიბეში ფულებს და მის ნეტარებას საზღვარი არა აქვს: კოტე ახლა პატარა კი აღარ არის, დედის მომხრეა, მისი მარჯვენა ხელია და შუაზე უყოფს შრომას. მივა თუ არა შინ, ახლა მეორე წყება სარეცხი დახვდება მზათ და წაუღებს მუშტარს.

ამ ფიქრებში იყო კოტე, ხელები ჯიბეში ჩაეყო და თან ფულებს ანგარიშობდა, რომ უეცრათ ქუჩაზე დამჯდარი გლახის საცოდავი ხმა: «გამიკითხე, ღმერთი გაგიკითხავსო», შემოესმა.

გლახა იჯდა ქუჩის პირას და გამვლელ-გამომვლელს მოწყალებას სთხოვდა, მაგრამ გაიარა ერთმა, გაიარა მეორემ, მესამემ, მეოთხემ და, არც ერთმა ყურადღება არ მიაქცია გლახის მუდარას. კოტეს შეეცოდა გლახა და გული მოდიოდა მგზავრებზე, რომელთაც თითქო არც კი ესმოდათ გლახის ვედრება. «გულქვავები, საზიზღრები!» ფიქრობდა კოტე: «რატომ არ აძლევენ თითო გროშს საბრალოს». იქნება, დღეს არა უჭამნია-რა!» ამ დროს კოტეს ხელს მოხვდა ჯიბეში შაურიანი. «ამოიღე და მიეცი!» უთხრა გულმა კოტეს. ამანაც მოკიდა შაურიანს ხელი, მაგრამ უცებ შეჩერდა. ფული ხომ მისი არ არის, დედამისისაა. თვითონ-კი განა ბევრი აქვთ, რომ გლახებს ურიგონ ფული? არა, კოტე თავს დაღუნავს და ისე გაივლის გლახის წინ, როგორც სხვა მგზავრები მიდიან. მართლაც დაღუნა კოტემ თავი და უნდოდა უცებ გაერბინა მათხოვარის წინ, მაგრამ კიდევ მოესმა გულის შემზარავი: «გამიკითხე, ღმერთი გაგზრდისო» და შეჩერდა. გლახას ხელი გამოეშვირა და იმისთანა თვალებით უყურებდა კოტეს, რომ ბავშვმა ანგარიშ მიუცემლათ ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოიღო შაურიანი, მიცა მათხოვარს და გაიქცა საჩქაროთ, თითქო უკან მისდევს ვინმეო. «ღმერთმა გაგზარდოს, ღმერთი შეგეწიოს!» წუწუნებდა გლახა მადლობის ნიშნათ, მაგრამ კოტეს აღარაფერი აღარ ესმოდა და მირბოდა. მან არ იცოდა რა ჩაიდინა, კეთილი საქმე, თუ ცუდი? გლახას ფული მისცა, მაგრამ დედას წაართვა; იმ დედას, რომელიც წელებზე ფეხს იდგამდა, სისხლის ოფლში იწურებოდა და ისე ჭამდა პურს, ისე ზრდიდა თავისს კოტესაც. გაირბინა კოტემ რამდენიმე ნაბიჯი და გაჩერდა მოსახვევთან, საიდანაც მოჩანდა მათი სახლი. დგას კოტე და აღარ იცის, რა ქნას, რა მოიგონოს შაურის შესახებ. მართლაც რა უნდა უთხრას დედას? მათხოვარს მივეციო? მერე ვინ უთხრა, მიეციო? არა, კოტეს არ უნდა მიეცა მათხოვრისთვის დედის ფული და ვერც გაუმხელს ამას დედას. მაშ რა უთხრას? არა, რაღა ამ გზაზე დამჯდარა მაინც ეს გლახა? ამის შემდეგაც ხომ აღარ ენდობა დედა კოტეს და აღარსად გაატანს სარეცხს? ამნაირათ გამოდის, რომ კოტეს არ შეძლებია დედის მოხმარება, უსარგებლო ყოფილა მისთვის; დიახ, კოტე ცუდი ბავშვია: დავალებული საქმე ვერ შეუსრულა დედას, გამოტანებული ფული ვერ მიუტანა და დაუკარგა. დაუკარგა?.. არა, კოტემ კარგათ ქნა, რომ მათხოვარს ფული მისცა; ძალიან კარგათ, რადგან, იქნება, აქამდის მშიერი იყო საბრალო და ახლა კი შეუძლია პური იყიდოს და ჭამოს, მაგრამ დედასაც რომ ძალიან ჭირდება ფული? რახანია, სახლის პატრონი ქირასა თხოვს და იმას კი ჯერ ვერ მოუგროვებია მისაცემი ფული. არა, კოტემ ძალიან ცუდათ ქნა, რომ დედას შაური მოაკლო; კოტე ცუდი ბავშვია.

დგას კოტე მოსახვევთან ამნაირ ფიქრებში გართული, ხან კმაყოფილი თავისს საქციელით, ხან უკმაყოფილო, და ვერც იქით წასულა, ვერც აქეთ; უნდა სახლში მივიდეს, მაგრამ რა პირით შეხედოს დედას, რა უთხრას, როცა ის კითხავს, შაური რა უყავიო?.. ვინ იცის, რამდენ ხანს იდგომებოდა კოტე ერთ ადგილზე, რომ უეცრათ დედის ხმა არ გაეგონა.

_ კოტე, კოტე, მანდ რას აკეთებ? რატომ არ მოდიხარ? _ მოესმა კოტეს ნაცნობი ხმა და შეკრთა. მართას უთო გაუცივდა და ხელ-ახლავ აღარ გაუხურებია, რადგან დაბრუნდებოდა თუ არა კოტე, პური უნდა ეჭამათ. იცადა მართამ, იცადა და კოტეს მოსვლას რომ აღარაფერი ეშველა, გამოვიდა ქუჩაში. გაიგონა თუ არა დედის ხმა, კოტე, როგორც დამნაშავე, შეშინებული და თავ ჩაღუნული წავიდა მისკენ.

_ რა ქენი, მიუტანე სარეცხი? _ კითხა მართამ.

_ მივუტანე, _ ძლივს ამოილუღლუღა კოტემ.

_ ფული მოგცა?

_ მომცა, აჰა! _ თქვა კოტემ და გადაცა დედას მუჭით თეთრი ფული. მართამ უცებ დაითვალა ფული და შეხედა შვილს.

_ შაური? _ კითხა მან. კოტე ხმას არ იღებდა თავ-ჩაღუნული იდგა.

_ შაური? _ განუმეორა მართამ. _ შაური რა უყავი? _ კოტე მაინც ხმას არ იღებდა. _ არ გესმის, რომ გეკითხები? _ გული მოუვიდა მართას, მოკიდა ხელი ნიკაპზე და თავი აუწია. კოტეს ცრემლები მოერია.

_ შაურიც მოგცა ხომ მუშტარმა და რა უყავი? _ კიდევ კითხა მართამ.

_ არა, არ... _ დაიწყო კოტემ, მაგრამ ცრემლი ყელში მოებჯინა და ვეღარ დაათავა, რის თქმაც უნდოდა.

_ არ მოუცია?.. როგორ არ მოგცემდა?.. წამო, მაშ წავიდეთ იმასთან! _ დაიძახა მართამ, დაავლო ხელი კოტეს და დააპირა მუშტართან წასვლა.

_ კი მომცა, კი... _ ძლივს ამოიღო ხმა კოტემ.

_ მაშ, რა უყავი?.. იყიდე რამე განა, შე საძაგელო, შენა?.. რა იყიდე?.. კაკალი? მაჩვენე ჯიბეები! _ ყვიროდა გაგულისებული მართა და უშინჯავდა ჯიბეებს. მართა გულ-კეთილი ქალი იყო, მაგრამ გაჭირვებას გაესასტიკებინა და გულს წვავდა თავისს ნაოფლარის უბრალოთ დაკარგვა, როცა გარს იმდენი საჭიროება ეხვია.

_ არაფერი არ მიყიდია... _ თქვა კოტემ და ტირილი დაიწყო.

_ მაშ, რა უყავი? _ არ ეხსნებოდა მართა.

_ დამეკარგა, _ უთხრა კოტემ ბოლოს.

_ როგორ დაგეკარგა, სად დაგეკარგა?.. წამოდი ახლავე და მოძებნე, სადაც დაგეკარგა! _ ამ სიტყვებით დაავლო მართამ ხელი ბავშვს და წაიყვანა. _ ეძებე, ეძებე! _ უყვიროდა გზა და გზა. კოტე ძლივს მიჩანჩალებდა და, გულ-ამომჯდარი, ტიროდა.

_ გამიკითხე, ღმერთი გაგიკითხავს! _ მოისმა ამ დროს და ორივე დედა-შვილმა მიიხედეს გლახისაკენ. გლახა იჯდა იმავე ადგილზე, ხელში პური ეჭირა; თან ჭამდა და თან ივედრებოდა. კოტეს ჯერ ეწყინა თავისს ტანჯვის მიზეზის დანახვა, მაგრამ, როცა ნახა, რა მადიანათ შეექცეოდა გლახა პურს, იფიქრა, ეს ჩემი მიცემული შაურით იქნება ნაყიდიო და კმაყოფილება იგრძნო.

_ იქნება შენ ნახე შაურიანი?.. ამ ბავშვს აქ შაურიანი დაეკარგა და შენ ხომ არ გინახავს? _ კითხა მართამ მათხოვარს, როცა მიუახლოვდნენ. უკანასკნელმა გაკვირვებით შეხედა ჯერ მართას, მერე კოტეს და გაიღიმა. მან იცნო კოტე და მიხვდა ყველაფერს.

_ არა, მე არ მინახავს, _ თქვა მან.

_ აბა რა იქნა _ დაიწყო მართამ: _ ამ საძაგელს სარეცხი გავატანე მუშტართან და მანეთი და ერთი შაური უნდა მოეტანა; მანეთი მოიტანა და შაური-კი დამეკარგაო, მითხრა. _ გლახამ შეხედა კოტეს, რომელიც, სრულიად დამშვიდებული, მიჩერებოდა მას. გლახა მიუბრუნდა მართას და ვედრებით უთხრა:

_ შაური მე მომცა, ნუ გაუჯავრდები!.. კეთილი ბავშვი ყოფილა, ღმერთმა გაზარდოს და კაი კაცი გამოიყვანოს.

_ შენ მოგცა?.. _ გაკვირვებით წამოიძახა მართამ.

_ დიახ, მე მომცა და აი, პური ვიყიდე კიდეც, _ უთხრა გლახამ და აჩვენა პური.

_ მერე რატომ მაშინვე არ მითხარი, შვილო, თუ გლახას მიეცი, როცა გკითხე, რა უყავიმეთქი? _ ტკბილი ხმით მიუბრუნდა მართა კოტეს და დაუსვა ალერსით თავზე ხელი _ გლახის მიცემა ცუდი არ არის და რაკი მიეცი, რაღაზე დამიფიცე? მართალია, ჩვენ თვითონ გაჭირვებულები ვართ, მაგრამ ეს კიდევ უფრო გაჭირვებულია ჩვენზე. ნეტა ბევრი მოგვცა, რომ ბევრის მიცემა შევიძლოთ...

_ ეჰ, _ ამოოხვრით დაიწყო გლახამ; _ გაჭირვებულს ისევ გაჭირვებული თუ გაიკითხავს, თვარა მდიდარს ჩვენი არა ეყურება-რა. დილიდან აქ ვზივარ და ამ ბავშვის მეტს ჩემთვის სამოწყალო არავის მოუცია. ღმერთმა გაზარდოს და კეთილ გულთან იმდენი შეძლებაც მისცეს, რომ ყოველი გლახისა და გაჭირვებულის გაკითხვა შეძლოს...

მართას სიხარულის ცრემლებით აევსო თვალები; მოხვია ხელი თავის პატარა ქველ-მოქ-მედს და ორივე დედაშვილი მხიარულად წავიდენ შინისკენ...

გ ა ლ უ ს ტ ა დ ა გ ო გ ი ტ ა

I

გალუსტა ქალაქელი ვაჭარი იყო. გოგიტა სოფლელი გლეხი.

გალუსტა საქმეების გამო ხშირად დადიოდა სოფელ ცივწყაროში და მთელ კვირაობით რჩებოდა თავისს ნათლიმამა გოგიტას სახლში, გოგიტა კი ქალაქში ერთხელაც არა ყოფილ-ყო.

_ იცი, გალუსტ, _ უთხრა ერთხელ გოგიტამ: _ როცა ჭირნახულს შევინახავ, მინდა ქალაქში ჩამოვიდე.

_ რა გინდა, საქმე გაქვს რამე? _ კითხა გალუსტამ.

_ არა, ქალაქი მინდა ვნახო; ამხელა კაცი ვარ და არ მინახავს, სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს რა.

_ რა სირცხვილია, რომ სოფლელ გლეხს ქალაქი არ გენახოს? თუ საქმე არაფერი გაქვს, ტყუილად ოჯახს რად უნდა მოცდე და ფული დახარჯო?

_ დავხარჯო კი არა! რა უნდა დავხარჯო? გზაზე არა დამეხარჯება-რა და იქ კიდევ ხომ შენა მყევხარ, შე კაი კაცო?

გალუსტას არ იამა ნათლიმამის მომავალი სტუმრობა, მაგრამ რას იზამდა, უარს ხომ ვერ ეტყოდა, ჩემთან ნუ მოხვალო, როცა თვითონ ისე ხშირად მოდიოდა იმის სახლში.

_ მე?.. ჰო, რატომაც არა? მოდი, გაგიმასპინძლდები! მე მხოლოდ შენთვის გეუბნები, რომ ტყუილად დრო დაგეკარგება, და, რაც უნდა იყოს, ცოტა ფულიც დაგეხარჯება, თორემ მე კი-დევაც მიამება შენი მოსვლა.

_ არაფერიც არა დამეხარჯება-რა; საგზალს შინიდან წამოვიღებ და სხვა რაღა დამჭირდება? დავადგები გზას ფეხით და მოვალ, _ უპასუხა გოგიტამ.

_ შენი ნებაა... მობძანდი და მეც იქ დაგხვდები.

_ მაშ დამიწერე, რომელ უბანში და რომელ ქუჩაზეა შენი სახლი, რომ არ დავიბნე და მალე გიპოვნო! _ თხოვა გოგიტამ.

გალუსტას შეჭმუხვნილი შუბლი უცებ გაეხსნა და პირზე ღიმილმა შეუთამაშა: ეტყობოდა, რაღაც მოისაზრა.

_ ბატონი ხარ, დაგიწერ... _ გალუსტამ მართლაც ამოიღო უბის წიგნი, მოხია პატარა ქაღალ-დი, დაწერა და მიცა გოგიტას, რომელმაც დაკეცა ქაღალდი და გადასცა ცოლს, რომ კარგად შე-ენახა.

I I

გოგიტამ მალე შეისრულა სურვილი და, მორჩა თუ არა საქმეებს, ჩავიდა ქალაქში.

_ ძმობილო, ვის დაეძებ? რა დაგკარგვია, რომ ამდენი ხანია დაეხეტები აქეთ-იქით? _ კითხა ერთმა ვაჭარმა გოგიტას, როცა დაინახა რამდენჯერმე თავისს დუქნის წინ გავლილ-გამოვლი-ლი.

_ გალუსტა თათუზოვის სახლს ვეძებ და მასწავლე, შენი ჭირიმე, _ თხოვა გოგიტამ.

_ ვის სახლს? _ კითხა ვაჭარმა.

_ გალუსტ თათუზოვისას.

_ არა, ძმავ, ამ უბანში გალუსტ თათუზოვი არავისა ქვია.

_ როგორ არა? გალუსტ თათუზოვი... შვილს მინათლავს!..

_ შეიძლება, აგრეც იყოს, _ გააწყვეტინა ვაჭარმა; _ მე ხომ არ გეუბნები, გალუსტ თათუზოვი ქვეყანაზე არ არის-მეთქი; მე ვამბობ მხოლოდ, რომ ამ უბანში არვინ არის მაგ სახელისა და გვარის.

_ მაშ, სად იქნება? _ იკითხა მღელვარებით გოგიტამ.

_ აბა, რა ვიცი! ქალაქი დიდია. თუ სწორე მისამართი არა გაქვს, ძნელია აქ კაცის ნახვა.

_ როგორ არა მაქვს? აი, დამიწერა, სადაც ცხოვრობს, _ სთქვა გოგიტამ, ამოიღო გალუსტის ნაწერი ქაღალდი და მიცა.

_ «ავლაბარი, არარატის ქუჩა, გალუსტ თათუზოვის სახლები», _ წაიკითხა ვაჭარმა და სიცილი დაიწყო.

_ რა გაცინებს? _ კითხა წყენით გოგიტამ.

_ ის მაცინებს, რომ სასაცილოდ აუგდიხარ იმ შენს ნათლიას.

_ როგორ?!

_ ავლაბარში-კი არა, მთელ ქალაქშიაც არ არის არარატის ქუჩა.

_ რას ამბობ, კაცო? გალუსტ თათუზოვი შვილს მინათლავს და მაგას როგორ მიზამდა? ალბად, შენ თვითონ მიგდებ მასხარად! მართალი მითხარი, თუ ძმა ხარ, სოფლის ხამი კაცი ვარ, ტყუილად ნუ მაწვალებ! _ დაელრიჯა გოგიტა.

_ ჩემმა მზემ, მართალს გეუბნები. აი, ვისაც გინდა, კითხე!

გოგიტამ ქუჩაზე მომავალი ქართულად მორთული მანდილოსანი დაინახა და მოკრძალებით მივიდა მასთან.

_ შენი ჭირიმე, ქალბატონო, მიბრძანე, არარატის ქუჩა რომელსა ქვია? _ კითხა გოგიტამ.

სხვა უბნებისა არ ვიცი და აქ, ავლაბარში-კი მაგისთანა ქუჩა არ არის, შვილო _ უპასუხა მანდილოსანმა.

_ როგორ არ არის, ბატონო? აი, აქ დამიწერა ნათლიამ... _ დაიწყო გოგიტამ და აჩვენა ქაღალდი.

მანდილოსანმა დახედა და ღიმილი მოუვიდა.

_ მოუტყუებიხარ, შვილო; ალბად, არა ნდომია შენი სტუმრობა და განგებ დაუწერია, _ უთხრა მანდილოსანმა და გაშორდა.

გოგიტა დარჩა ერთ ადგილას გაშტერებული...

I I I

«რა მიყო, რა მიყო იმ არამზადამ! წადი ახლა და კაცს ენდე! რამდენი პატივი მიცია და როგორ გადამიხადა? არც მირონი მოიგონა, არც ჰურმარილი და ისე მომატყუა!.. მაგრამ არა, აქ რაღაც სხვა ამბავი იქნება: იმ ვაჭარმა და ქალმა არ იციან ქუჩების სახელები!» ასე ფიქრობდა ერთ-ერთ ქალაქის ქუჩაში მიმავალი გოგიტა, რომ უეცრად თითქო ნაცნობი ხმა მოესმა. მოიხედა უკან და სახტად-კი დარჩა: გალუსტა ის იყო გამოეთხოვა ვიღაცას და წამოვიდა მისკენ.

_ ო, გალუსტ, შენი ჭირიმე, რა ხანია დაგეძებ და ძლივს არ გიპოვე! _ დაავიწყდა გოგიტას ყველაფერი და გახარებულმა ამ სიტყვებით მიაშურა გალუსტას.

გალუსტა შეკრთა, როცა გოგიტა დაინახა, მაგრამ გამოერკვა და წარბები შეიჭმუხნა; ის იყო გოგიტა უნდა მოხვეოდა კიდეც ნათლიას, რომ მოესმა:

_ ვა, ვინ გალუსტაო, რას ამბობ, კაცო?

_ როგორ თუ ვინ გალუსტაო? გალუსტა არა ხარ, ჩემი შვილის მომნათვლელი? _ გაკვირვებით კითხა გოგიტამ.

_ არა, ძმავ, მე გალუსტა-კი არა, გასპარა ვარ, ალბად თვალებმა მოგატყუეს!

_ გალუსტ, რას ამბობ? კარგად შემომხედე, ვერა მცნობ შენს ნათლიმამას?

_ ვა, გიჟო-ოხერო: გალუსტა-კი არა, გასპარა ვარ მეთქი, გეუბნები, თავი დამანებე! _ და გალუსტა-გასპარამაც გაუჩქარა ფეხს.

_ მაშ, ძმა იქნები სწორედ გალუსტასი! _ არ ეშვებოდა გოგიტა.

_ ვა, არ დამეხსნები, კაცო? რას ჩამციებიხარ? არც ძმა ვარ და არც ბიძაშვილი, ის ვიღაც გალუსტაა!

_ მაშ, გვარად თათუზოვი არა ხარ?

_ თათუზოვი კი არა, პოლოსოვი ვარ, გესმის თუ არა? მომშორდი, თორემ ახლავე პოლიციელს დავუძახებ! _ სთქვა გულმოსულმა გალუსტ-გასპარამ და, როცა დაინახა, რომ გოგიტა მაინც მხარ-და-მხარ მისდევდა, ჩაჯდა იქვე მდგარ ეტლში და წამს თვალიდან მიეფარა.

დარჩა გოგიტა პირჩალა-გამოვლებული და არ იცოდა, რა ეფიქრა, როგორ აეხსნა გალუსტას ქცევა!..

IV

კვლავ დადგა გაზაფხული...

_ ო, ნათლიმამ, ნათლიმამ? როგორ გიკითხო, კაცო, ხომ მშვიდობითა ხართ, კარგად? _ მოესმა ერთ მშვენიერ მკათათვის საღამოს კალოზე მყოფ გოგიტას და დაინახა ცხენით მომავალი, მხარზე თოფ გადაკიდებული გალუსტა.

გოგიტას გაკვირვებას საზღვარი არა ქონდა და ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს, რომ გალუსტა გადმოხტა კიდევაც ცხენიდან და მიაბა იქვე მდგარ ურემზე.

გოგიტა დარწმუნებული იყო, რომ გალუსტა თავისს დღეში ვეღარ დაენახვებოდა, ფეხს ვეღარ დაადგამდა მის არემარეზე და ის-კი ისე არხეინად მობრძანდებოდა, თითქო მათ შორის არაფერიც არა მომხდარა რაო. გოგიტა ისე დააბნია გალუსტას მოულოდნელმა მოსვლამ, რომ აღარ იცოდა, რა ექნა.

_ თითქო ქალაქში უნდა ჩამოვიდეო? რატომ აღარ ჩამოხვედი? მთელი ზამთარი გელოდი და ძალიან მეწყინა, რომ აღარ ჩამოხვედი, _ ამბობდა გალუსტა და თან ხელს ართმევდა გაშტერებულ გოგიტას.

_ რა ამბავია? როგორ გაშტერებულხარ, თითქო ვეღარა მცნობო? ასე ადრე არ მომელოდი განა? ხვალ დაბახევში მაქვს საქმე და იმიტომ მოვედი ამაღამ; იმედია, ღამეს გამათევიებ და დილით ადრე წავალ... სხვა, ამბავი, ხაბარი? ნათლი-დედა სად არის, როგორ არის? ხომ კარგათა ხართ ყველანი? ჩემი ნათლული დიდი ბიჭი იქნება ახლა, _ დააყარა გალუსტამ, მაგრამ გოგიტა ისევ ჩუმად იდგა და მიჩერებოდა უცნაურ სტუმარს. «არა, შუბლ-გარეცხილობა კი შეიძლება, მაგრამ ასეთი?» ფიქრობდა იგი.

_ ხმა ამოიღე, კაცო, რას შვრები? ავად ხომ არა ხარ? _ არ ეშვებოდა გალუსტა.

_ ცოტა თავი მტკივა, მთელი დღე მზეზე ვმუშაობდი და თუ დამსიცხა, _ ძლივს უპასუხა გოგიტამ და კვლავ ჩააცქერდა თვალებში. გალუსტამ ახლა-კი ვეღარ გაუძლო მის ცქერას და თავი დახარა.

«ღმერთმა ნუ ქნას, რომ სამაგიერო არ გადაგიხადო, შე უსინდისოვ, შენა!» ფიქრობდა გოგიტა და ზიზღით მიჩერებოდა თავდახრილ გალუსტას.

რამდენსამე ხანს ასე იდგენ ორივენი. შემდეგ სიამოვნებით გაიღიმა გოგიტამ და გადაისვა შუბლზე ხელი; ეტყობოდა, რომ რაღაც კარგი აზრი მოუვიდა და დაკმაყოფილდა.

_ ამაღამ აქ უნდა დავიძინო; პურს ვერ მივატოვებ და შენთვისაც აქ აჯობებს ღამის გათევა, რადგან სახლში ძალიან ცხელა. ცხენსაც ბორკილი შევუყაროთ და აქვე ნაპურალში გავუშვათ, _ უთხრა გოგიტამ.

_ ძალიან კარგი! _ დაეთანხმა გალუსტაც.

_ ქალაქში წამოსასვლელად შარშან ველარ მოვიცალე და სულაც გადავიფიქრე იქ ჩამოსვლა. შენი თქმისა არ იყოს, რა მინდა ქალაქში, როცა საქმე არაფერი მაქვს? _ დაუმატა გოგიტამ.

გალუსტა ძალიან გააკვირვა ამ სიტყვებმა; ეს დარწმუნებული იყო, რომ გოგიტა უსაყვედურებდა, რად მომატყუეო და თავი იმით უნდოდა ემართლებინა, რომ ქალაქში ზოგიერთ ქუჩას ორ-ორი სახელი ქვია და ბევრმა მხოლოდ თითო სახელი იცისო. პირადათ შეხვედრაზე კიდევ შეიძლებოდა არაფერი ეთქვა გოგიტას, რადგან კაცი კაცსა გავს და ეგონება, რომ მოტყუვდა, ქალაქში ყოფნაზე უარის თქმამ-კი მეტად გააკვირვა გალუსტა!

«მართლა რომ ტეტიაა, გულუბრყვილო სულელი!» ფიქრობდა გალუსტა და უხაროდა, რომ გადარჩა საყვედურს.

«მე გოგიტა არა ვყოფილვარ, თუ ფასად არ დაგისვა ჩემი ასე აგდება»! ფიქრობდა თავის მხრივ გოგიტა და სახეზე მაცდური ღიმილი უთამაშებდა...

V

დაღამდა. სტუმარმასპინძელმა ივახშმეს და მოემზადენ დასაძინებლად, გოგიტამ ცოლშვილი სახლში გაგზავნა, თვითონ და გალუსტა-კი კალოზე დარჩნენ.

გალუსტამ ერთხელ კიდევ დაათვალიერა თავისი ცხენი, რომელიც, ბორკილ შეყრილი, იქვე ნაპურალში ბალახობდა და დაწვა მისთვის მომზადებულ საგებზე; თავისი თოფიც, რასაკვირველია, გვერდზე მოიდვა.

_ თოფი ხომ გატენილი გაქვს, გალუსტ? _ კითხა გოგიტამ.

_ მაშ, მაშ, ტყვიითაა გატენილი, შორ გზაზე დავდივარ, ხანდახან კაიმალი ფულიც დამაქვს ხოლმე, ხუმრობა ხომ არ არის? _ უპასუხა თავმოწონებით გალუსტამ.

_ არა, ჩვენში ყაჩაღების შიში-კი არ არის, მაგრამ დათვი კი ბევრია ამ ბოლო დროს, _ უთხრა გოგიტამ.

_ დათვი? აქ, ახლოს არის სადმე? _ შეეშინდა გალუსტას.

_ ჰო, არის. აქვე რომ სიმინდის ყანაა, იქაც დადის ხოლმე ხანდახან ერთი დათვი.

_ რას ამბობ, გოგიტ, მერე აქაც რომ მოვიდეს, ხომ შეგვჭამა, _ მღელვარებდა გალუსტა: _ რატომ წინად არ მითხარი, მეც სახლში წავიდოდი დასაძინებლად.

_ არა, აქ რა უნდა, და, თუნდაც მოვიდეს, თოფი ხომ მზად გვაქვს! მოვკლავთ და ის იქნება!

_ ცხენი? ცხენი რომ გამიფუჭოს? _ არ მშვიდდებოდა გალუსტა.

_ არა, შენ არხეინად იყავი! მე მაინც ვერ დავიძინებ ამაღამ, _ პურს უნდა მოვუდგე და შენ ცხენზედაც თვალყურს დავიჭერ.

_ აბა, შენ იცი, ჩემო გოგიტ! თუთხმეტი თუმანი ღირს ჩემი ცხენი, და არ დამღუპო შეეხვეწა.

ფიქრი ნუ გაქვს უთხრა უკანასკნელად გოგიამ და მოშორდა...

V I

წევს გალუსტა და ფიქრობს, ვაი თუ მართლა მოვიდეს დათვი და ცხენი შემიჭამოსო, მაგრამ დაღალულ-დაქანცულს მალე ავიწყდება ყველაფერი და ძილი ერევა.

აი, ძინავს გალუსტას და სიზმარში ხედავს, როგორ ეპარება დათვი მის ცხენს, ხედავს, მაგრამ შველა არ შეუძლია; მხლოდ წუხს და იტანჯება, უნდა დაუყვიროს დათვს, ან დაუძახოს გოგიტას, მაგრამ ხმა ვერ ამოუღია; უნდა აიღოს თოფი და ესროლოს, მაგრამ ხელი ვერ გაუნძრევია. და გალუსტაც მხოლოდ კვნესის, ბორგავს, სული ეხუთება.

_ გალუსტ, გალუსტ, გალუსტ!.. გაიღვიძე, კაცო, დათვი, დათვი მოვიდა. _ ჩაესმა მართლაც ყურში გალუსტას და, შეშინებულმა, გაახილა თვალები.

_ ჰო, რა იყო? _ წამოიძახა ათრთოლებულმა გალუსტამ.

_ დათვი ეპარება ეგერ შენ ცხენს! _ ჩასძახა გოგიტამ.

_ დათვი?! _ წამოილუღლუღა გალუსტამ და წამოჯდა, ვერხვის ფოთოლივით აკანკალებული.

_ ნელა, ნუ ყვირი, აქეთ არ წამოვიდეს!.. შეხედე, ეგერ არის! ხომ ხედავ? ახლა კაი მოსაკლავია. დაუმიზნე თოფი და ესროლე, თორემ საცაა, მივარდება ცხენს.

_ ცხენს? ღმერთო ჩემო! _ სასოწარკვეთილებით წამოიძახა გალუსტამ და აიღო თოფი ხელში. _ იცი გოგიტ, შენ ესროლე, მე ვერაფერს ვხედავ, _ შეეხვეწა გოგიტას.

_ მე რუსული თოფისა არა გამეგება რა, ისევ შენ უნდა ესროლო. აი აგერ არის, როგორ ვერა ხედავ? _ უპასუხა გოგიტამ და ანიშნა ხელით, სადაც იყო დათვი.

გალუსტა დააშტერდა იმ ადგილს, სადაც აჩვენა გოგიტამ და მართლაც დაინახა რაღაც.

_ მალე, მალე, გალუსტ, თორემ გააფუჭა ცხენი! _ ჩაჩურჩულებდა კვლავ გოგიტა.

რაღას იზამდა გალუსტა, აკანკალებულის ხელებით მოიმარჯვა თოფი და მოწია ჩახმახს. იგრიალა თოფმა და რაღაც ფეხმოსხლეტით დაეცა მიწაზე. ამავე დროს მოისმა გოგიტას საშინელი ყვირილი.

_ ვაიმე, კაცო, რა ქენი? მე საით გაჩვენე და შენ საით ისროლე? დათვი გაიქცა? _ ყვიროდა გოგიტა.

_ როგორ თუ გაიქცა? აი, იქა გდია გაშხლართული. წადი, აბა, ნახე! _ თქვა გალუსტამ და დაუშვა თოფი.

ის დათვი კი არა, შენი ცხენია. დათვის მაგიერ შენ შენი ცხენი მოკალი. _ თითქო ძალიან შეწუხებული, ეუბნებოდა გოგიტა.

_ ჩემი ცხენი? ვა, გაგიჟდი თუ? ჩემი ცხენის სიკვდილი ასე ალა-ალა არის? _ ღრიალებდა გალუსტა და გარბოდა იმ ადგილისკენ, სადაც მომაკვდავი ცხენი ჯერ კიდევ ფართხალებდა.